16.12.11№ 12/169571-13

თბილისის არქიტექტურა

№

შპს "ზამბახი"
მის: ქ. თბილისი, საქ. სამხედრო გზაზე,
ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს, "გრეკოს" შორის;
რჩეულიშვილის 7, ბ.23
ტელ: 599 178309

თქვენი №12/169571-13 (12.12.11წ) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხი განიხილა ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის განყოფილებამ.

სამსახურის მიერ არაერთხელ გეთქვათ უარი. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, საქ. სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს. "გრეკოს შორის არსებული ტერიტოიის სამშენებლოდ განვითარებაზე (იხ. №12/98351-13 31.12.09წ. №12/71350-13 02.10.09წ.) გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ახალი გარემოებები, სამსახური რჩება იგივე პოზიციაზე.

(იხ. დანართი 2 ფურცელი)

პატივისცემით,
ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების
პირობების დადგენის განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ი. მურღულია

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. ბერძენიშვილის 7
ტელ.: (+995 32) 272 22 22 ფაქს.: (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

31.12.09 № 12/98351-13

— — № — —

თბილისის არქიტექტურა

შპს "ზამბახი" ოთარ კალაიშვილს
მის: ქ. თბილისი, რჩეულიშვილის №7
ბინა №23
ტელ: 899605888

ბატონო ოთარ,

თქვენი 29.12.09 №12/98351-13 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, საქ. სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს, " გრეკო"-ს შორის, ნაკვეთ №022/130-ზე საავჭრო ობიექტის ასაშენებლად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთხელ უკვე გცნობათ სამსახურის პოზიცია, კერძოდ ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2009 წლის 8 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საქ. სამხედრო გზაზე ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე უნდა იყოს შემუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დიღმის ტყე პარკის ინტერესები, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ამ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

რაც შეეხება თქვენ მიერ წარმოდგენილ ქალაქთმშენებლობით პირობებს №1174 02.12.09, ის სამსახურის 2009 წლის 17 ივლისის №1879 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის პირობების გაცემის შესაძლებლობას.

პატივისცემით,
ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის
მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების
მომზადების განყოფილების უფროსი

ნ. გვენცაძე

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. მარჯანის 7
ტელ.(+995 32) 72 22 22 ფაქს.(+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

23.10.09 № 12/71350-13

თბილისის არქიტექტურა

№

შ.პ.ს. "ზამბახი"-ს დირექტორს
ოთარ კიკალიშვილს
მის: რჩეულიშვილის ქ. №7
ტელ: 899605888

ბატონო ოთარ,

თქვენი 02.10.09 №12/71350-13 განცხადების პასუხად, სადაც განმეორებით ითხოვთ ახალი სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, საქ. სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს. "გრეკოს"-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად, გაცნობებთ:

ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის 2008 წლის 01 დეკემბერს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცდა №1174 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, რომელიც ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 ივლისის №1879 ბრძანებით (იხ. დანართი) ბათილად იქნა ცნობილი.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 11 სექტემბრის №10-24 გადაწყვეტილების თანახმად, აღმაშენებლის ხეივნის გასწვრივ რეალურად მოქმედ ობიექტებსა და ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 31 მარტის №41 დადგენილებით შექმნილ დიღმის ტყე-პარკს შორის მოხდა ხეივნის გასწვრივ ტერიტორიის გადაკეთება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ად.

ამასთან, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2009 წლის 8 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმატელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე უნდა იყოს შემუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დიღმის ტყე-პარკის ინტერესები, და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდება ამ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

დღეის მდგომარეობით, დიღმის ტყე-პარკის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებამდე, სამსახური მოკლებულია თქვენს მიერ საპროექტოდ შერჩეულ ტერიტორიაზე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემის შესაძლებლობას.

სამსახურის უფროსი   მიხეილ აბულაძე

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
' თბილისის არქიტექტურის სამსახური'
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22   ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
ვებ-გვერდი - tbilisi.gov.ge/architect